



ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge

facebook.com/
Akhali Ganatleba

№3 (917) გაგონის 1998 წლიდან

18-24.02.2021



«სიხცხვილი გვაჭამაო და ჯეჰ შიში აჭამეს და მეჲ მინას აჭამეს - აი, ასე სასტიკად და ასეთივეა ჩემი სიტყვებით - ეხეში და უღამაზო.

საფლავში გაუმონხად გაუგებაში წინადადება ჩააყოფს - «გააპუტიუხეს და გამოისყიდამ».

იმ გოგონას ყიფუ, გზები სულ მოჭილი ჰქონდა - ან ძალადობა ხვდებოდა გზის ბოლოს ან გულგრილობა. ის გზაც იცოდა, ყველგან ეს დასასხიელი ეგუებოდა. სხვა გზა ყიფუ ჩვენ ვეი დავაგეთ და თვითონ სად მოგვძებნიდა? ვეხსად.

ამასწინ დავწეხე: «გაზაფხული მოდის. ქაქეთში ბღის ხეები აყვავდებიან, მეჲ სასხასა ეწნელებს გამოობამენ და ბღის ხეებზე წინის თანატოლები ავღენ. წინი თებეხვარში ავიდა. ხომ მოგვესმინა, მანში უნდა ასე იყო.» და მეჲ დავფიქრი - მე ის ვიცი წინის ხომელიმე თანატოლის დახდის? ან შენ ის იცი? ახატეხი. ვეხატეხი.

წინისთვის ბიძოდა, გახდა აქ და ახლა სამახთლის აღსიხულებსა - უფრო დიდი და მთავარი ბიძოდა - ამ გზის დაგება იქნება - ყველა მოსწავლესთან, სკოლასთან, სოფელთან მიმყვანი გზის - ეხომანეთთან დაპაჩაქს ხომ გვასწავლის. ხომ სხვა წინი, ეღენე, ნათია, გვანცა - გადავაჩინოთ. და ის ხომ ხან ასეთი სიტყვები პათეტიკად გვეჩვენება, გვეჩვენება მხოლოდ იმიტომ, ხომ ამ საქმეს ყოველდღიუხი ხუტინად ახ ვაქცევთ.»

ბიოჩხი ანანიაძე

ნუდავსოვებთბავშვებსმახტო

„სიმაართლე მაინს ვერ დაამტკიცა“ სახელმწიფოსა და საზოგადოების უმოქმედოებას შენიღბული ბოგონას სისოცხლე

ლალი ჯალაღაძე

„გააუზბატიურეს და გამოისყიდაო“ – ამ გაუგონარი სიტყვების ავტორი 14 წლის მოზარდის, ნინის ბაბუაა, ბაბუა, რომელმაც ასე სასტიკად შეაფასა შვილიშვილის თვითმკვლელობა, პატარა გოგონასი, რომელიც მრავალმხრივი ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდა. უმწიკო მსხვერპლი გოგონას გახმაურებულ ამბავს, სამწუხაროდ, ოჯახის წევრებმა და ნათესავებმა სხვა ახსნა ვერ უპოვეს, გარდა იმისა, რომ თურმე სირცხვილი აჭამათ... მსხვერპლმა კი, ვერც სამართალი იპოვა, ვერც გვერდში მდგომი ადამიანი, მეტიც, გავრცელებული ინფორმაციით, სექსუალური ძალადობის მსხვერპლ გოგონაზე მერე ფიზიკურად იძალადეს „ახლოლებმა“... გოგონამ ჩვენებაში დაწერა, რომ „სიმაართლე მაინც ვერ დაამტკიცა“ და პრობლემასთან სრულიად მარტო დარჩენილმა არასრულწლოვანმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ გულგრილ და ჯერ კიდევ სტერეოტიპებით მსუთნე ქვე საზოგადოებაში, სადაც მსხვერპლში ექებენ დამნაშავეს, მისი ადგილი აღარ იყო... სამწუხაროა, რომ ეს არც პირველი შემთხვევაა და, სავარაუდოდ, ამ პირობებში, არც ბოლო იქნება, რადგან პრობლემის გამოწვევი მიზეზი ბევრია და თან სიღრმისეული. ამ მიზეზებს სახალხო დამცველის მოადგილე **ეკატერინე სხილაძე** სახელმწიფოსა და საზოგადოების უმოქმედობას, კვალიფიციური კადრების ნაკლებობას, დაგვიანებულ თუ არასათანადო კომუნიკაციას უკავშირებს, რომელიც წარმოშობს სისტემურ ხარვეზებს და ხელს უშლის არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის პრევენციას.

მწერალი **გიორგი კეკელიძე** ნინის ამბავს საკუთარ ფეისბუქგვერდზე ეხმაურება და ამბობს, რომ მისი სიტყვებიც ისეთივე სასტიკი და უღამაზოა, როგორც მოზარდის მიმართ ნაქვეამი სიტყვები: „სირცხვილი გვაჭამაო და ჯერ შიში აჭამეს და მერე მინას აჭამეს – აი, ასე სასტიკად და ასეთივეა ჩემი სიტყვებიც – უხეში და უღამაზო.

საფლავში გაუგონრად გაუგებარი წინადადება ჩააყოფეს – „გააუზბატიურეს და გამოისყიდაო“.

იმ გოგონას კიდევ, გზები სულ მოჭრილი ჰქონდა – ან ძალადობა ზედგებოდა გზის ბოლოს ან გულგრილობა. რა გზაც იცოდა, ყველგან ეს დასასრული ეგულებოდა. სხვა გზა კიდევ ჩვენ ვერ დავაგვით და თვითონ სად მოგვქეზინდა? ვერსად.

ამასწინ დაწერე: „გაზაფხული მოდის. ქაქუთში ბლის ზეები აყვავდებიან, მერე ხასხასა კუნწულებს გამოიბამენ და ბლის ხეებზე ნინის თანატოლები ავლენ. ნინი თებერვალში ავიდა. რომ მოგვესმინა, მისში უნდა ასულიყო.“ და მერე დავფიქრდი – მე რა ვიცი ნინის რომელიმე თანატოლის დარღვის? ან შენ რა იცი? არაფერი. ვერაფერი.

ნინისთვის ბრძოლა, გარდა აქ და ახლა სამართლის აღსრულებისა – უფრო დიდი და მთავარი ბრძოლა – ამ გზის დაგება იქნება – ყველა მოსწავლესთან, სკოლასთან, სოფელთან მიმყვანი გზის – ერთმანეთთან ლაპარაკს რომ გვასწავლის. რომ სხვა ნინი, ელენე, ნათია, გვანცა – გადავარჩინოთ. და ის რომ ხან ასეთი სიტყვები პათეტიკად გვეჩვენება, გვეჩვენება მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საქმეს ყოველდღიურ რუტინად არ ვაქცევთ.“

მედია ექსპერტი **ნინო დანელია** წერს, რომ „მაინც გაბედეს და გამოფინეს მოკლული გოგონა ჩვენები, სადაც ის ამბობს, რომ სექსი კაცთან ნებაყოფლობით ჰქონდა. ეგონა, ცოლად მოიყვანდა და იმან მოატყუა. აი, ეს გაბედეს. უცებ დაავინყდათ, რომ რაც არ უნდა ნებით მოხდეს, არასრულწლოვანთან სექსი არის დანაშაული და მასზე ძალადობა. არასრულწლოვანი ვერ აფასებს რისკებს, არის მოწყვლადი. მით უმეტეს მამინ, როცა, როგორც ირკვევა, ისეთ გარემოში იზრდება, როგორშიც ნინი იზრდებოდა, უდედოდ, უმამოდ, არაემპათიური ბაბუა-ბიძების გარემოცვაში. იქნებ ეს ბიჭი მისი დისფუნქციური ოჯახიდან თავის დაღწევას ვზად მიიჩნია? იქნებ იმედი გაუჩნდა, რომ თავს დააღწევდა იმ გარემოს, რომელშიც უნებდა ცხოვრება? გგონიათ, რომ ჩვენ არ ვაგვიჩნდება შემხვედრი კითხვები? 1. რა მნიშვნელობა აქვს ნებით მოხდა თუ უნებურად სისხლის სამართლის დანაშაული? 2. რა ვიცით, რა პირობებში დაწერა ნინიმ ჩვენებ-

ბა? 3. რა ვიცით, იძულებით მიაცემინეს ჩვენება თუ არა. თუ გგონიათ ლუკა სირაძე დაგვევინყდა ან დემურ სტურუა, რომლებიც პოლიციამ მიიყვანა თვითმკვლელობამდე? 4. რატომ დააკავეს სრულწლოვანი ბიჭი გოგოს თვითმკვლელობის შემდეგ, როცა იცოდნენ დანაშაულის შესახებ? 5. როგორ მოახერხეს ბავშვისა და ოჯახის წევრების დაკითხვა (თუ დაკითხნენ საერთოდ) და იმის ვერ აღმოჩენა, რომ ბავშვი ცემეს, რომ არავინ დაუჭირა მხარი, რომ ფსიქოლოგიურ ტერორში ჰყავდათ „შემარცხვენილი“? 6. თუ ნებით მოხდა, რატომ დაწერა ბავშვმა, რომ „სიმაართლე მაინც ვერ დაამტკიცა“. ვის ვერ დაუმტკიცა? რას უმტკიცებდა? რა იყო მისი სიმაართლე, რამაც სიკვდილამდე მიიყვანა?“



რასთან გვაქვს საქმე, ვის ეპისრება პასუხისმგებლობა და როგორ მოვიძებთ, რომ დავიცვათ ნინი და მისი თანატოლები ასეთი შემზარავი მოყვრებისგან? – ამ კითხვებს უფლება დამცველი, პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის აღმასრულებელი დირექტორი ანა აბაშიძე პასუხობს. ანა ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ მისი მსხვერპლია ნინი, ამაზე ვერ გვიპასუხებს, რადგან ეს გამოძიება უნდა მოხდეს, მგზრამ ერთი რამ ცხადია, ბევრმა გარემოებამ იშუაშვა ბავშვის სანიტა-აღმდებოდ, რომ მიეღო ასეთი ცუდი გადაწყვეტილება. რაც მთავარია, ამ გარემოებების შემთხვევაში პირების პასუხისმგებლობები უნდა გამოიკვეთოს, იძნება ეს სამოქალაქო თუ სახელმწიფო მოხელე.

ანა აბაშიძე: ორი დიდი პოლუსია და ორივეზე თანაბრად უნდა ვილაპარაკოთ, სხვაგვარად, უბრალოდ ვერ შევაჩერებთ ამ ტიპის დანაშაულებს. პირველი არის აქცენტი საზოგადოებაზე – ჩვენზე, რიგით ადამიანებზე, რომლებსაც თანამდებობები არ გვაქვს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ვართ უპირატესად განმაპირობებელი იმ კულტურისა, რაც საზოგადოებაში დამკვიდრებული ქალებისა და გოგონების კულტურაა. ეს არის გამოკვეთილი სტერეოტიპები, რომ ქალზე ძალადობა, თუ ის ასე და ასე მოიქცევა, შესაძლებელია. ეს არის ჩვენი მხრიდან, ხალხის, უბრალო მოქალაქის მხრიდან, შემოძლია ვთქვა, ლეგიტიმირებული დანაშაული. ამიტომ, ამ საკითხზე ხმა მალაღობა ლაპარაკის გარეშე, უბრალოდ წარმოუდგენელია თემას გადავხედოთ. თუმცა, როცა სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობთ, ცხადია, სახელმწიფოა მთავარი პასუხისმგებელი პირი, რომ ხელი შეუწყოს საზოგადოებას, ერთი მხრივ, სწორი მიმართულებით წავიდეს და მეორე მხრივ, კონკრეტული ადამიანების გადარჩენა შეძლოს პრევენციული გზებით, ან უკვე მომხდარი დანაშაულის გამოძიებით დაიცვას უკვე დაზიანებული მოქალაქე. ამ თვალსაზრისით, კონკრეტულმა ქეისმა გვიჩვენა, რომ სისტემა, რომელიც სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ბავშვზე ორიენტირებული, რეალურად ისეთი გადარბებელია, რომ ამის აღწერა შეუძლებელიც კია. არ არსებობს დანაშაულის გამოძიების თანამედროვე გზები და, შესაბამისად, გვაქვს დავიანებული მართლმსაჯულება. დავიანებულმა მართლმსაჯულებამ კი, არაერთხელ შეინირა ადამიანი არამარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ყველგან. ეს არის სერიოზული პრობლემა, განსაკუთრებით, როდესაც მოწყვლადი ჯგუფია საქმეში, ანუ როცა დანაშაულის შედეგად დაზიანებული ბავშვები გვყავს. მეორე მხრივ, გამოწვევის პარალელურად, ეს არის გაუმართავი სოციალური სისტემა, რომელიც სოციალურად, ეკონომიკურად და ფსიქოლოგიურ თვალსაზრისით უნდა ეხმარებოდეს ბავშვს და სანამ გამოძიების უშიძმესი, სტრესული პროცესი მიმდინარეობს, უნდა იძლეოდეს გარანტიას, რომ ბავშვი, მინიმუმ, დაცული იქნება დამატებითი სტრესისგან ან განმეორებითი ძალადობისგან იმავე პირის ან სხვა პირების მხრიდან.



9 თებერვალს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, 14 წლის გოგონამ თავი ჩამოიხრჩო. გარდაცვლილი გოგონა, საკუთარ სახლთან ახლოს, ბაბუამ იპოვა. მისი მონათხრობით, გოგონამ თვითმკვლელობის წინა დღესაც სცადა, გაერკვია, როდის დააკავედა პოლიცია 24 წლის მამაკაცს, რომელიც ძალადობაში 2 თვის წინ ამხილეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სავარაუდოდ მოძალადე მხოლოდ მას შემდეგ დააკავა, რაც ბავშვმა თავი მოიკლა. პროკურატურამ დაკავებულს ბრალდება ორი მუხლით წაუყენა – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილი (სრულწლოვნის სექსუალური ხასიათის შეღწევა დამნაშავესთვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში (ორი ეპიზოდი) და 115-ე მუხლი (თვითმკვლელობამდე მიყვანა), რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება გარდაცვლილის მიმართ შესაძლო ძალადობის სხვა ფაქტებზეც. მოგვიანებით, შსს-მ გოგონას ბაბუაც დააკავა.





მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, სკოლებში სასწავლო პროცესი ბუნებრივ ბარიერს დაუბრუნდა

15 თებერვლიდან, თბილისის, რუსთავეისა და ქუთაისის სკოლებშიც სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებში გაგრძელდა. შესაბამისად, უკვე მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, სკოლებში სასწავლო პროცესი ბუნებრივ ბარიერს დაუბრუნდა.

სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, საქართველოს ყველა საჯარო სკოლა აღჭურვილია ვირუსის პრევენციისთვის საჭირო რესურსებით. შესაბამისი მარაგები სკოლებს საკმარისად აქვთ მთელი სასწავლო წლისათვის.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დარიგდა სადეზინფექციო ხსნარები, თერმოსკრინინგის აპარატები, დეზობარიერები. სკოლებში მონესრიგებული და გამართულია სვე-

ლი ნერტილები, ზედმინევიტი არის დაცული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, შესრულებულია სამინისტროს ყველა რეკომენდაცია. სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სკოლაში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ მშობლების ინფორმირებას სკოლები ინტენსიურად უზრუნველყოფენ.

მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა მოუწოდა საზოგადოებას, რომ ახლა ძალიან მნიშვნელოვანია არსებული დინამიკის შენარჩუნება, ამიტომ „კიდევ ერთხელ მინდა ვთხოვო საზოგადოებას, ზედმინევიტი დაიცვან ჯანდაცვის სფეროს რეკომენდაციები, რათა ჩვენს ბავშვებს, ჩვენს შვილებს ჰქონდეთ საშუალება, საკლასო ოთახებში გააგრძელონ სწავლა.“ – განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა.



მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს ყველა სკოლის მასწავლებლისა და ადმინისტრაციული პერსონალის, მინიმუმ, 20%-ის სავალდებულო სისტემატური PCR ტესტირება, ხოლო დანარჩენი თანამშრომლების ე.წ. სწრაფი ტესტირება. ტესტირება ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად შემუშავებული პროტოკოლის საფუძველზე ტარდება, პროცესს სახელმწიფო სრულად უზრუნველყოფს.

ორი კვირის განმავლობაში, საჯარო და კერძო სკოლებში, სავალდებულო ტესტირება 46 300 მასწავლებელსა და ადმინისტრაციის თანამშრომელს ჩაუტარდა

Covid-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, თებერვლის დასაწყისი-

კაზიონი

სკოლების გახსნას ალტერნატივა არ აქვს!

იჩაქლი თაყაძე

სასწავლო პროცესი, უშუალოდ საკლასო ოთახებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით განახლდა. თუმცა ამით, განათლების სისტემის წინაშე არსებული პრობლემები, რაც კოვიდ-19-მა გამოიწვია, ცხადია, არ შემცირებულა – სასწავლო დაწესებულებებს ისევ მკაცრი რეგულაციების დაცვით უწევთ მუშაობა, ხოლო VI-XII კლასებში პირბადის ტარება სავალდებულო უკვე მოსწავლეებისთვისაც გახდა.

რამდენად მომზადებული შეხვდნენ სკოლები სწავლის „ცოცხალ“ რეჟიმში განახლებას; არიან თუ არა მზად რეგულაციების დასაცავად და ჰყავთ თუ არა ამისთვის საჭირო კადრები, თუ ეს დამატებითი სამუშაოც ისევ მასწავლებელთა შესარულდება; რას ფიქრობენ დისტანციურ სწავლებაზე, მასწავლებელთა ვაქცინაციაზე, რაც საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს – ამ თემებზე სასაუბროდ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის სკოლები შევარჩიეთ. მათ დირექტორებს ერთი და იმავე კითხვით მივმართეთ: ხომ არ გაქვთ პრობლემები ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესასრულებლად? ონლაინ სწავლების პირობებში მასწავლებელს დამატებითი სამუშაოს შესრულება უწევს, საკმარისია ამისთვის 50-ლარიანი დანამატი? გყოფნით თუ არა კადრები დალაგება-დეზინფექციის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად? გყავთ სკოლაში საგანგებო კადრები თერმოსკრინინგისთვის თუ ესეც მასწავლებელს ევალება და რამდენად ხარისხიანი და რიგობრივი ინვენტარი (თერმომეტრი, სადეზინფექციო ხსნარი და სხვა)? რას ფიქრობენ სკოლების გახსნაზე, მასწავლებელთა ვაქცინაციაზე, არჩევანზე დისტანციურ და საკლასო ოთახებში სწავლებაზე.

გრამა აბაშიძე, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხოშისის საჯარო სკოლა: სკოლაში შემუშავებულია სამუშაო გეგმა, შემოტანილია ყველაფერი – დეზობარიერიდან დანყებულნი, სადეზინფექციო სითხის ჩათვლით, გამოკრულია მონოდება – „დაიცავით დისტანცია“, გამოყოფილია სპეციალური კადრები, რომლებიც ახორციელებენ თერმოსკრინინგს, კონტროლს უწევენ სათანადო ღონისძიებების დაცვას და ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობს. მეორე კვირაა, რაც სწავლა დაიწყო და დეზინფექციაც ჩავატარეთ. სკოლაში ტესტირებაც ჩავატარეთ და, საბედნიეროდ, ყველა პასუხი უარყოფითი იყო, ვირუსი არაა და დაუდასტურდა. ინვენტარიც საკმარისია – ზოგი უფასოდ შემოგვიტანეს, ზოგიც ჩვენ შევიძინეთ.

ონლაინ სწავლების მოთხოვნა ჩვენთან არ ყოფილა – ყველა დადის სკოლაში. 50 ნელინადა, სკოლაში ვმუშაობ და შემოდის პირდაპირ ვთქვა, რომ საკლასო ოთახში სწავლას ალტერნატივა არ აქვს, დისტანციური და ონლაინ სწავლება მას ვერც მიედრება, რა შედარება! სკოლაში ყველანაირი თვალსაჩინოება გვაქვს და ორმაგად უკეთესია, ბავშვს პირისპირ, ცოცხლად რომ ესაუბრები და გაარკვევ, სად უჭირს, სად უღონის, ყველაფერს მოსწავლესთან მიიტან. ონლაინ სწავლებას შედეგი არ აქვს. ბავშვებსა და მშობლებსაც სკოლაში სწავლა ურჩევნიათ, არაგინ არ გამოთქვამს უკმაყოფილებას.

ტარიელ გველესიანი, ქუთაისის №29 საჯარო სკოლა: სკოლა მომარაგებულია ყველა საჭირო ინვენტარით. სამინისტრომ მოგვანოდა დეზობარიერი, სადეზინფექციო სითხე და უზრუნველყოფილი ვართ. ჩვენც შევიძინეთ საჭირო ინვენტარი და მზად ვართ სწავლის გასაახლებლად. უახლოეს დღეებში შედგაგვებიც გაივლიან ტესტირებას, სკოლას კი ჩაუტარდება სრული დეზინფექცია. ეს პროცედურა ადრეც გავიარეთ და მეორე ოქტომბრიდან, როცა სწავლა დისტანციურად გაგრძელდა, საკლასო ოთახებს მაინც ვამუშავებდით – ვანი-აუვებდით და ა.შ. ახლა ისევ ჩავატარებთ დეზინფექციას. ინვენტარი საკმარისია და გვეყოფა სასწავლო წლის ბოლომდე. თუ საჭირო გახდება დამატება, ჩვენითაც შევიძინებ, მაგრამ მარაგი ამ სასწავლო წლისთვის საკმარისია. გვყავს ექიმიც,

რომელიც ჩაატარებს თერმოსკრინინგს, მათ დირექციის წარმომადგენლებიც დაეხმარებით, რადგან სკოლას 3 შესასვლელი აქვს.

რაც შეეხება დისტანციურ სწავლებას, რისკები ყოველთვის და ყველაფერში არსებობს, თუმცა ბავშვების ცოცხალ სასწავლო პროცესზე უკეთესი არაფერია. თუ დავიცავთ ყველა რეკომენდაციას, ასევე დავიცავთ დისტანციას საზოგადოებრივ ტრანსპორტში თუ სხვაგან, რისკიც შემცირდება, თორემ ხომ არ შეიძლება, მუდმივად ონლაინ სწავლების რეჟიმში ვიყოთ. თუმცა, ჩვენთან დისტანციური მუშაობაც გამართულად მიმდინარეობდა. ჯერჯერობით, არავის გამოუთქვამს ონლაინ რეჟიმში გავრცელების სურვილი, თუმცა საჭიროება რომ დადგეს, ამისთვისაც მზად ვართ.

ალექსანდრე სტურუა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის საჯარო სკოლა: საკლასო ოთახებში ახალი სასწავლო წლის განახლებას სკოლები ძალიან მონდომებულნი შეხვდნენ. დეზინფექციას დღეში ორჯერ ვატარებთ – სველი ნესით სადეზინფექციო ხსნარით ვამუშავებთ დერეფნებს და სველ ნერტილებს, ხოლო ვაკევილიების შემდეგ – საკლასო ოთახებსაც. რაკი დამლაგებლებს სამუშაო მოემატათ, განათლების სამინისტრომ დაგვართო ნება, მათთვის დამატებითი ანაზღაურება მიგვეცა. ამიტომ, თვის ბოლოს, ნახალისების მიზნით, ჩემი ბრძანების საფუძველზე, დამატებით თანხას ვურიცხავთ – მათი ხელფასის 50 პროცენტს.

სკოლაში ასევე ტარდება თერმოსკრინინგიც. თუ არ წვიმს, ამ მიზნით ეზოს შემოსასვლელ ჭიშკართან დგას ორი ადამიანი, ხოლო როცა ავდარია, მაშინ სკოლის შენობაში, ორივე შემოსასვლელში ვუტარებთ. საბედნიეროდ, სკოლაში კოვიდის შემთხვევები არ დადასტურებულა, თუმცა იყო ორი ფაქტი, როცა ბავშვებს მალაღი ტემპერატურა დაუფიქსირდათ. ასეთ შემთხვევაში საქმეში ექიმი ერთვება, ჩვეულებრივი თერმომეტრითაც ვუსინჯავთ სიცხეს, მეორე კიდევ ერთხელ ვუკონტროლებთ და ამის შემდეგ მშობელს ვურეკავთ. ერთი

დან, საქართველოს მასშტაბით, საჯარო და კერძო სკოლებში აქტიურად მიმდინარეობს მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა სავალდებულო ტესტირება. ინტენსიური ტესტირების შედეგად, 2 კვირის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით, Covid-19 მასწავლებელთა და სკოლის თანამშრომელთა 0,5%-ს დაუდასტურდა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე, დაავადების უსიმპტომოდ მიმდინარეობის შემთხვევაში, ინფიცირებულ მასწავლებელთან შეთანხმებით, მისი საგანი დისტანციურ ფორმატში გადადის.

გარდა ამისა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, სამინისტრო შესაძლებლობას აძლევს რისკჯგუფში მყოფ მასწავლებლებს, შესაბამისი სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, მიმართონ სკოლის ადმინისტრაციას მუშაობის დისტანციურ ფორმატში გაგრძელების თაობაზე.


ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად შემუშავებული პროტოკოლის საფუძველზე, მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის სავალდებულო ტესტირება, ქვეყნის მასშტაბით, აქტიურად მიმდინარეობს. პროცესს სახელმწიფო სრულად უზრუნველყოფს.

სავალდებულო ტესტირების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის ადმინისტრაცია სკოლაში დასაქმებულ ყველა პირს არეგისტრირებს ბმულზე: <https://labour.moh.gov.ge>, ხოლო სამედიცინო ლაბორატორიების მიერ პერსონალის ტესტირების პროცესი შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ჩართულობით მიმდინარეობს.



СОСТАВЛЕНИЕ ХИМИЧЕСКИХ ФОРМУЛ СОЕДИНЕНИЙ ПО ВАЛЕНТНОСТИ ЭЛЕМЕНТА

ბიზნეს-გეგმის სსიპ ქალაქ ღმინის №2 საჯარო სკოლის ქიმიის უფროსი პედაგოგის, ბალინა ბლუდოვას მე-9 კლასის გეგმით მომზადებული – „ქიმიური ფორმულების შედგენა ელემენტების ვალენტობის მიხედვით“

<p>Тема урока: Составление химических формул соединений по валентности элемента Преподаватель: Галина Блудова (9кл)</p>	
<p>Учебные цели, стандарты: 1. Научить учащихся определять валентность в бинарных соединениях; 2. Познакомить учащихся с различными видами валентности; 3. Повторить понятия о кратном значении, о наименьшем общем кратном нескольких чисел, повторить правило нахождения НОК нескольких чисел и применение этого правила; 4. Обратить внимание учащихся на интеграцию курсов химии и математики. Хим. IX.5. Учащийся может дать сравнительную характеристику элементов, атомов и молекул. Хим. IX.7. Учащийся умеет в зависимости от валентности составлять простейшие формулы и применять закон сохранения массы веществ.</p>	<p>Знание: 1. Учащиеся знают символы некоторых элементов, различают друг от друга элементы; 2. Пользуясь различными наглядными способами описывать и сравнивать друг с другом элементы и атомы; 3. Учащиеся знают определение понятия „валентность“; валентность атомов водорода и кислорода в соединениях; 4. Учащийся знает правило нахождения НОК нескольких чисел. Навыки: 1. Учащиеся будут правильно применять модель и описывать процесс создания нового вещества при взаимодействии элементов; 2. Учащиеся адекватно применяют химические термины: атом, молекула, элемент, соединение, кислород, формула, коэффициент, индекс, символ, оксид; 3. Учащиеся будут адекватно применять символы химических реакций и валентность атомов для составления формул знакомых ему простых и сложных веществ; 4. Способны выполнять количественные расчеты молекулярных масс различных веществ, используя знания атомной массы элементов, входящих в состав; 5. Способность анализировать и оценивать правило нахождения НОК нескольких чисел и применять это правило.</p>
<p>Пробуждение интереса, мотивация, что будет интересным для учащихся на этом уроке</p>	<p>Форма организации урока: индивидуальная и групповая работа, объяснение нового материала, проверка усвоения нового материала, домашнее задание.</p>
 <p>Какая цель данной таблицы?</p>	<p>Эпиграф к уроку: „Всякое вещество – от самого простого до самого сложного – имеет три различные, но взаимосвязанные стороны: свойства, состав, строение...“ (Б.М. Кедров) I. Ориентировочно-мотивационный этап (5мин) 1. Психологическая разминка (2мин) Девиз урока: „Спрашивайте и отвечайте – это девиз познания и учения“. 2. „Входная карточка“ (приложение №1)(3мин) 3. Индивидуальная работа по карточкам двух учащихся по теме „Относительная молекулярная масса“ (Выполняют решение на доске) (приложение №2) II. Операционно-исполнительный этап. Актуализация опорных знаний (20мин) До сих пор мы пользовались готовыми химическими формулами. Какие закономерности учитываются при составлении химических формул, которым подчиняются элементы, соединяясь между собой? Как называется эта закономерность? (валентность). 1. Дайте определение валентности. Валентность – это свойство атомов удерживать определенное число других атомов в соединении. 2. Как обозначается валентность? Валентность обозначается римскими цифрами. 3. Какие виды валентности вы знаете? (постоянная и переменная) 4. Чему равна валентность водорода? кислорода? (I, II) 5. Какое правило вы должны знать при определении валентности атомов элементов в соединениях? (Правило определения валентности: число единиц валентностей всех атомов одного элемента равно числу единиц валентности всех атомов другого элемента). 6. Как вы думаете, зачем нам необходимо знать валентность элементов? (чтобы составлять химические формулы соединений). Запишем тему урока в тетрадь. Каковую цель мы поставим перед собой? (научиться правильно составлять химические формулы по валентности элемента) Объяснение нового материала: Как правильно составлять химические формулы по валентности элемента и для этого удобно воспользоваться следующей таблицей (приложение №3) III. Оценочно-рефлексивный этап (5 мин) 1. Первичная проверка усвоения знаний (приложение №4) (3мин) 2. Работа над ошибками (приложение №5) (2мин) 3. Составить химические формулы по валентности элементов (приложение №6) (10мин) IV. Подведение итогов урока (5мин) 1. Рефлексия (приложение №7) 2. Вопросы, над которыми необходимо подумать для эффективной работы на следующем уроке. Что нужно знать, чтобы составить химическую формулу вещества? ✓ Как можно найти число атомов в соединениях, если валентности элементов известны? ✓ Как проверить правильность составленной формулы бинарных соединений? 3. Домашнее задание.</p>
<p>Оценивание: 1. Определяющее 2. Развивающее</p>	<p>Примечания: (После урока я сделаю необходимые изменения)</p>

(Приложение №1)

„Входная карточка“

Задание. Дайте определение следующим химическим терминам:

1. Химический элемент – это определенный вид атомов.
2. Химическая формула-условная запись состава вещества посредством химических знаков и индексов.
3. Индекс – это число, показывающее количество взятых частиц (атомов или молекул) вещества.
4. Коэффициент – числа, стоящие перед химическими формулами.
5. Молекулярной массой вещества называют массу молекулы, выраженную в атомных единицах.
6. Массовая доля элемента показывает, какую часть (долю) составляет масса данного элемента от всей массы вещества.

Критерии развивающего оценивания:

- 0 ошибок – 9-10 баллов (молодец);
- 1 ошибка – 7-8 баллов (неплохо, но можно лучше);
- 2 ошибки – 5-6 баллов (тебе есть над чем поработать);
- более 3-4 ошибок – 3-4 балла (тебе придется повторить то, что не понял).

(Приложение №2)

Карточка №1. Рассчитайте относительную молекулярную массу данных веществ: NaCl, K₂O.

Справочные данные:

- Ar (Na) = 23
- Ar (Cl) = 35,5
- Ar (K) = 39
- Ar (O) = 16

Карточка №2. Рассчитайте относительную молекулярную массу данных веществ: CuO, SO₂.

Справочные данные:

- Ar (Cu) = 64
- Ar (O) = 16
- Ar (S) = 32

Критерии развивающего оценивания:

- 0 ошибок – 9-10 баллов (молодец);
- 1 ошибка – 7-8 баллов (неплохо, но можно лучше);
- 2 ошибки – 5-6 баллов (тебе есть над чем поработать);
- более 3-4 ошибок – 3-4 балла (тебе придется повторить то, что не понял).

(Приложение №3)

Алгоритм составления химической формулы по валентности элемента.

Алгоритм составления формулы по валентности элемента	Пример
1. Запиши рядом знаки химических элементов, которые входят в состав вещества.	B O
2. Над знаками химических элементов поставь их валентность.	III II B O
3. Определи Н.О.К. (наименьшее общее кратное – это число, которое делится на исходные числа без остатка) чисел, выражающих валентность этих элементов. Запиши Н.О.К. над формулой.	6 III II B O
4. Раздели Н.О.К. на валентность каждого элемента. Запиши полученный индекс.	6 III II B O 6:III=2 6:II=3
5. Сделайте проверку, то есть подсчитайте число единиц валентностей каждого элемента.	6 III II B ₂ O ₃ (6=6)

(Приложение №4)

1. Первичная проверка усвоения знаний.

В течение трёх минут необходимо выполнить одно из трёх заданий по выбору. Выбирайте только то задание, с которым вы справитесь.

Репродуктивный уровень („5“). Составьте химические формулы по валентности элементов:

NH (III), AlO (III), CH (IV), CuO (II).

Прикладной уровень („8“). Составьте формулы оксидов: Mn (VII), Fe (III), Cr (VI), Cu (I), K (I).

Творческий уровень („10“). Исправьте ошибки, допущенные в некоторых формулах: AlO₃, BO₃, NaO, KO.

(Приложение №5)

2. Работа над ошибками. (Ответы)

Репродуктивный уровень („5“).

NH₃, Al₂O₃, CH₄, CuO.

Прикладной уровень („8“).

Mn₂O₇, Fe₂O₃, CrO₃, Cu₂O, K₂O.

Творческий уровень („10“).

Al₂O₃, B₂O₃, Na₂O, K₂O.

(Приложение №6)

Составить химические формулы по валентности элементов (10мин)

I вариант

1. Определите валентность химических элементов в следующих соединениях: CO, ZnS, SiH₄;
2. Расставьте индексы в химических формулах следующих соединений: а) K..O; б) Al..I.; в) P..Cl;
3. Составьте химические формулы соединений с кислородом следующих элементов (символ кислорода в формулах ставится на второе место): а) железа (II); б) азота (IV);
4. Составьте химические формулы соединений с хлором (I) следующих элементов (символ хлора в данных формулах ставится на второе место): а) бария; б) железа (III).

სამოღლო გაკვეთილი

II ვარიანტი

1. Определите валентность химических элементов в следующих соединениях: HBr , Ca_3P_2 , MgCl_2 ;
2. Расставьте индексы в химических формулах следующих соединений: а) S_2O ; б) Fe_2Cl ; в) Cu_2S ;
3. Составьте химические формулы соединений с кислородом следующих элементов (символ кислорода в формулах ставится на второе место): а) калия; б) кремния(IV);
4. Составьте химические формулы соединений с хлором (I) следующих элементов (символ хлора в данных формулах ставится на второе место): а) алюминия; б) кальция.

III ვარიანტი

1. Определите валентность химических элементов в следующих соединениях: NO , Na_2S , CaCl_2 ;
2. Расставьте индексы в химических формулах следующих соединений: а) Ag_2S ; б) Al_2S ; в) Si_2H .
3. Составьте химические формулы соединений с кислородом следующих элементов (символ кислорода в формулах ставится на второе место): а) хлора (VII); б) бария;
4. Составьте химические формулы соединений с серой (II) следующих элементов (символ серы в данных формулах ставится на второе место): а) железа (III); б) меди (II).

IV ვარიანტი

1. Определите валентность химических элементов в следующих соединениях: NaI , SiCl_4 , MgS ;
2. Расставьте индексы в химических формулах следующих соединений: а) N_2O ; б) Ba_2Cl ; в) Si_2O .
3. Составьте химические формулы соединений с кислородом следующих элементов (символ кислорода в формулах ставится на второе место): а) серы (VI); б) углерода (II);
4. Составьте химические формулы соединений с бромом (I) следующих элементов (символ брома в данных формулах ставится на второе место): а) серебра (I); б) алюминия.

Критерии определяющего оценивания

Неудовлетворительно (3-4 баллов)	Удовлетворительно (5-6 баллов)	Хорошо (7-8 баллов)	Очень хорошо (9-10 баллов)
Ученик не проявляет знания и выполняет 1-2 задания.	Ученик проявляет знания на низком уровне и выполняет 3-4 задания, затрудняется выполнять остальные задания.	Ученик проявляет знания материала на среднем уровне и выполняет больше половины задания.	Ученик проявляет знания на высоком уровне и может не выполнить 1-2 задания.

(Приложение №7)

Рефлексия	Учащиеся письменно отвечают на вопросы
Что нового вы узнали сегодня?	
Можно ли считать, что цели нашего урока достигнуты?	
Оцените свою деятельность на уроке, дайте оценку полученным знаниям?	
Я понял, что	
Я научился	
Мне необходимо	

РЕФЛЕКСИЯ УРОКА ХИМИИ – СОСТАВЛЕНИЕ ХИМИЧЕСКИХ ФОРМУЛ СОЕДИНЕНИЙ ПО ВАЛЕНТНОСТИ ЭЛЕМЕНТА

Исходя из стандарта Национального учебного плана:

Хим. IX.5. Учащийся может дать сравнительную характеристику элементов, атомов и молекул.

Хим. IX.7. Учащийся умеет в зависимости от валентности составлять простейшие формулы и применять закон сохранения массы веществ.

Мною были поставлены следующие цели урока:

✓ К концу урока учащиеся определяют валентность в бинарных соединениях, учащиеся знакомы с различными видами валентности.

✓ Повторяют понятия о кратном данном числе, о наименьшем общем кратном нескольких чисел.

✓ Правило нахождения НОК (наименьшего общего кратного) нескольких чисел и применение этого правила (самостоятельно составляют формулы химических соединений, находя НОК с помощью валентности, определяя индексы элементов).

К концу урока цели урока были достигнуты частью учащихся с относительно высокой академической успеваемостью, слабыми же учащимися цели урока были достигнуты частично.

Несмотря на то, что я постаралась реализовать дифференциальный подход, давая возможность учащимся самим выбрать себе задание по силам, очевидно, этого оказалось недостаточно. Часть учащихся завысила свои возможности, выбрав непосильные задания и не справилась с ними. В активности по определению валентности в химических соединениях, которую они должны были сделать самостоятельно, часть учащихся также не справилась с заданием. Я думаю, что дифференцированный подход здесь принес бы лучшие результаты, если бы были даны не просто разные варианты заданий для самостоятельной работы, а если бы задания были бы подобраны с большим учетом индивидуальных возможностей учащихся, или им был бы предоставлен больший лимит времени. Рефлексия показала, что им необходимо уделить внимание на следующих уроках для уяснения данного учебного материала.

Для достижения учебного результата мною были подготовлены разнообразные ресурсы: Power Point презентация, алгоритм составления хим. формул с учетом валентности, „входные билеты“ для активации имеющихся у учащихся знаний, разнообразную систему оценивания (само и взаимная оценка учащихся, входные билеты, оценивание учеников учителем (развивающее и определяющее с рубриками заранее известными учащимся)).

Каждая активность была подобрана мной с учетом этапа урока и для достижения общих целей сформулированных в начале урока (согласно национальному учебному плану).

Имело место также применение разнообразных форм организации учащихся (работа со всем классом, групповая и индивидуальная работа) и учебных стратегий (активного слушания, применение принципов вербальной и невербальной коммуникации).

При выдаче инструкций старалась давать их четко и полно, с учетом лимита времени.

Для поднятия мотивации и создания атмосферы доброжелательности и доверия на уроке я старалась хвалить учеников в случае каждого успешного ответа.

Считаю удачным на этом уроке подачу нового материала с использованием электронной презентации и алгоритма составления формул, что дало возможность сделать процесс объяснения более наглядным, понятным и более оптимально расходовать время урока. А также применение стратегий активного обучения, указанных выше, с которыми я познакомилась в рамках проекта „Вызов тысячелетия“.

Урок прошел согласно плану, его не пришлось модифицировать, потому что поставила своей личной целью строгое выполнение лимита времени. Это не только позволило мне выполнить все запланированные активности и вовремя завершить урок, но и повысить мотивацию и ответственность учащихся за конечный результат.

При планировании урока я считала, что использование разнообразных ресурсов поможет мне выйти на учебный результат более успешно. Я применила принцип дифференциального подхода к каждому учащемуся. Кроме того, найду возможность повысить их мотивацию при выполнении домашних заданий. Где также применю индивидуальный подход и постараюсь давать интересные, актуальные задания (по возможности автентичные) с различным уровнем сложности, чтобы дать возможность всем учащимся почувствовать себя успешными.



საკლასო ოთახებს აფხაზეთის საჯარო სკოლების დაუბრუნდნენ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი ეკა ხოფერია თბილისში განთავსებულ აფხაზეთის №2 და №3 საჯარო სკოლებს ეწვია. მან მოსწავლეებსა და მასწავლებლებს საკლასო ოთახებში დაბრუნება და სწავლის განახლება მიულოცა.

მინისტრი, Covid-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, სკოლებში არსებული საგანმანათლებლო გარემოს უსაფრთხოებას და ხარისხიანი განათლების მიღების მიზნით განუქმადის ვაქცინაციას. მისი თქმით, ორივე სკოლა აღჭურვილია ვირუსის პრევენციისთვის აუცილებელი რესურსებით და ზედმინევენით იცავს სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებსა და შესაბამის რეკომენდაციებს.



ეკა ხოფერია სკოლების ინფრასტრუქტურითაც დაინტერესდა. კმაყოფილება გამოთქვა №2 საჯარო სკოლის მოწვევრიგებული ინფრასტრუქტურის გამო და აღნიშნა, რომ „სამინისტრო სკოლას შესასვლელის მოპირკეთებასა და ბაღის მოწვობაში დაეხმარება. ხოლო რაც შეეხება №3 საჯარო სკოლას, აქ სამინისტროს მეტი ძალისხმევა მართებს: საჭიროა მეორე გასასვლელის გაჭრა (უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით), გამოსაცვლელია იატაკი და გასარემონტებელია სააქტო დარბაზი“.

ფერწერა აფხაზეთიდან

თბილისის საკრებულოს საგამოფენო დარბაზში, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, მოეწყო გამოფენა „ფერწერა აფხაზეთიდან“, სადაც აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების 30-მდე ფერწერული ნამუშევარი იყო წარმოდგენილი.

გამოფენა, ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობის მიზნით, თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს ინიციატივით შედგა.

ექსპოზიცია დაათვალიერეს: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, რუსლან აბაში-

ძემ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა, ეკა ხოფერიამ, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ტყემალაძემ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, თინათინ ნიბლოშვილმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეოკუპაციის, საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, ნუგზარ მგალობლიშვილმა და კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს დირექტორმა, ლიკა კვარაცხელიამ.



საქართველო

ეს ერთი და სხვა მრავალი

გამოვიდა წიგნი „სვანური ტოპონიმია“...

ამბაკო ჭკადუა დაიბადა მეტის რაიონის სოფელ ზედა ვედში...

როცა გადამწვდა სვანეთის ტოპონიმური მასალის შეგროვება...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კათედრი...

სვანურ ტოპონიმიაში უნივერსიტეტის ახალი კათედრის...


რაც სწორად სიცოცხლის რისკთან იყო დაკავშირებული...

წიგნის მნიშვნელობა განუზომლად დიდია მეცნიერული...

ზემოთ აღნიშნული ტოპონიმის შეგროვებით, ამბაკო ჭკადუა...

განსაკუთრებით ყანის ან სათიბის სახელი – ჟიბილი...

ავტორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ თითოეული ტოპონიმი...



რომ თითქმის მშობლიური სვანეთის თვალწარმატებულები...

წიგნზე ლაპარაკი ჩამოვარდა სოფლის ცენტრში „სვიფისგა“...

წიგნის მნიშვნელობა განუზომლად დიდია, მით უმეტეს...

მიკა“ ისეთ დროს გამოვიდა, როცა სვანური ენის საჭიროება...

უდიდესი მადლიერების გრძობა როგორც ჭკადუსა და მთლიანად...

ეს ერთი და სხვა მრავალი.

აკაკი ზუბაბაძე პედაგოგი

ონლაინ კონფერენცია

დისტანციური სწავლება ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში

ირაკლი თაყაიძე

რამდენიმე დღის წინ, საქართველოს განათლების, მეცნიერების...

მოგახსენებთ, კვივდ ვირუსმა და მსოფლიოს პანდემიამ ცხოვრება...

მრავალფეროვანი იყო – სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები...

კონფერენციაზე საკმაოდ ბევრი საკითხი განიხილეს. დაავადებთა კონტროლისა...

რომ სწავლების ფორმების განხორციელებაზე მასწავლებელთა მოსაზრებების...

კონფერენციაში, ასევე, მონაწილეობდნენ და თავიანთი მოსაზრებებიც...



Online conference interface showing a presentation slide titled 'კონფერენცია ახალი სკოლის მოდელი - სპორტი' with various icons and text.

COVID-19 და ცვლილებები მსოფლიო საბანკო-სისტემაში



COVID-19-ის შედეგად სკოლები მთელ მსოფლიოში დახურულია. 1.2 მილიარდი ბავშვი საკლასო ოთახის გარეშე დარჩენილი. ამის შედეგად ბანკო-სისტემაში კრიზისულად შეიცვალა, თვალსაჩინოდ გაიზარდა ელექტრონული სწავლება – ბავშვები სწავლობენ სკოლის გარეშე, ციფრულ პლატფორმებზე. კვლევების მიხედვით, ონლაინ სწავლებისას, ინფორმაციის დამახსოვრებას ნაკლები დრო სჭირდება, რაც ნიშნავს, რომ კომპიუტერული გამოწვევები ცვლილებები სწავლების პროცესში, ამ მხრივ, შეიძლება, შენარჩუნებულ იქნას. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა მარეგულირება, დღესდღეობით, მსოფლიოს 186 ქვეყანაში, 1.2 მილიარდზე მეტი ბავშვი სკოლის

გარეშე დარჩა. დანიაში 11 წლამდე ასაკის ბავშვები საბავშვო ბაღებსა და სკოლებში ბრუნდებიან, სამხრეთ კორეაში კი მოსწავლეები ვიდეოზარდავით უკავშირდებიან მასწავლებლებს. საკლასო ოთახების ამ უცარი ჩანაცვლების გამო ბევრს აინტერესებს, გაგრძელდება თუ არა ონლაინ სწავლება პანდემიის შემდეგ და როგორ იმოქმედებს იგი მსოფლიო საბანკო-სისტემაში.

COVID-19-ის გამოჩენამდე შეინიშნებოდა ბანკო-სისტემაში ტექნოლოგიების მაღალი ჩართულობა და მათი ფუნქციის ზრდა, იქნებოდა ეს ენების აპლიკაციები, ვირტუალური სწავლება, ვიდეო-კონფერენციები თუ ონლაინ სასწავლო პროგრამები, რომელთა გამოყენება კიდევ უფრო გაიზარდა COVID-19-ის პირობებში.

როგორ პასუხობს საბანკო-სისტემა COVID-19-ის გამოწვევებს

მნიშვნელოვანი მოთხოვნის საპასუხოდ ონლაინ სწავლების ბევრი პროგრამა სთავაზობს მომხმარებელს უფასო წვდომას მათ მომსახურებაზე და რეკომენდაციას უწევს ისეთ პლატფორმას, როგორცაა BYJU'S – ბენგალურში (ინდოეთი) დაფუძნებული საგანმანათლებლო ტექნოლოგიისა და ონლაინ სწავლების ფირმა, რომელიც 2011 წელს დაარსდა და, დღესდღეობით, ამ სფეროში მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპანიაა. მას მერე, რაც კომპანიამ უფასო გაკვეთილები შემოიღო, Think and Learn აპლიკაციით, ახალი სტუდენტების რაოდენობა 200%-ით გაიზარდა.

ჩინური ტექნოლოგიური კომპანიის – ტენსენტის საკლასო ოთახი აქტიურად გამოიყენება მას შემდეგ, რაც ჩინეთის მთავრობამ სტუდენტებს მოსთხოვა, ონლაინ პლატფორმებზე განაგრძონ სწავლა. ეს უდიდესი „ონლაინ მოძრაობა“ განათლების ისტორიაში – იუჰანში 730.000 სტუდენტი ტენსენტის K-12 ონლაინ სკოლაში ესწრება გაკვეთილებს.

სხვა კომპანიები ერთი ფანჯრით უზრუნველყოფენ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. მაგალითად, სინგაპურში დაფუძნებული პაკეტი Lark მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ულიმიტო დროს სთავაზობს ვიდეოკონფერენციებისთვის, ასევე, ავტომატურ თარგმანს, ერთობლივი რედაქტირების შესაძლებლობას, საზრიანი კალენდრის დახმარებით განრიგის შედგენას და სხვა ფუნქციებს.

Alibaba-მ, დისტანციური სწავლების გასაუმჯობესებლად, გააფართოვა თავისი შესაძლებლობები.

ზოგიერთმა სკოლამ ტექნოლოგიურ კომპანიებთან დაინიშნა თანამშრომლობა. მაგალითად, ლოს ანჯელესის სკოლების გაერთიანებასა და P-ს შეთანხმებით, ადგილობრივ ტელეარხებზე დაიწყო საგანმანათლებლო გადაცემები, რომლებიც ფოკუსირებულია სხვადასხვა ასაკზე. BBC დიდ ყურადღებას უთმობს ვირტუალურ სწავლებას; ეს პროგრამები მთელ გაერთიანებულ სამეფოშია ხელმისაწვდომი და პოპულარული ადამიანებიც ჩაბმული არიან ბავშვებისთვის განკუთვნილ სასწავლო გადაცემებში – ცნობილი ბუნებისმეტყველი, სერ დევიდ ატენბორო გეოგრაფიას ასწავლის და ოკეანეებზე უამბობს მათ, მანჩესტერ-სითის არგენტინელი ფეხბურთელი სერხიო აგუერო ელემენტარული ფრაზების წარმოთქმას და თვლას ასწავლის პატარებს ესპანურად, პოპულარული მომღერლები ლიამ პეინი და მეიბლი მუსიკასა და წერაკითხვას ასწავლიან, ფიზიკოსი ბრაიან კოქსი, პროფესორი და პოპულარული სამეცნიერო გადაცემის წამყვანი, ბავშვებს მზის სისტემასა და გრაფიკაშიც ესაუბრება ბავშვებს.

რას ნიშნავს ეს ცვლილებები სამომავლოდ

ზოგი ფიქრობს, რომ დაუგეგმავი და სწრაფი გადასვლა ონლაინ სწავლებაზე, ყოველგვარი წვრილის, ტექნოლოგიური სიმწირის და მომზადების გარეშე, კარგი გამოცდილება ვერ იქნება მომხმარებლისთვის, ზოგს კი სჯერა, რომ ახალი, ჰიბრიდული მოდელი მნიშვნელოვან სარგებლობას მოიტანს; განათლებაში საინფორმაციო ტექნოლოგიის ინტეგრაცია უფრო სწრაფი ტემპით განვითარდება და ონლაინ სწავლება სასკოლო განათლების ერთ-ერთ კომპონენტად იქცევა.

ამგვარი სწავლება უკვე წარმატებითაა დანერგილი სხვადასხვა უნივერსიტეტში. მაგალითად, ჟეჯიანგის უნივერსიტეტში 5.000-ზე მეტი ონლაინ კურსია შემოღებული, ლონდონის სამეფო კოლეჯი, კორონავირუსთან დაკავშირებით, სტუდენტებს ონლაინ კურსების მთელ პაკეტს სთავაზობს.

ბევრ ლექტორს ეჭვი აღარ ეპარება ონლაინ სწავლების სიკეთეში. იორდანის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი ამჯედი აბობს: „ამან სრულიად შეცვალა სწავლების მეთოდი. ტექნოლოგიების დახმარებით უფრო ეფექტურად და შედეგადად ვუკავშირდები სტუდენტებს ჩატჯგუფებში, ვიდრე შეხვედრებ-

ზე, ერთმანეთს ვუზიარებთ დოკუმენტებს. ჩემს სტუდენტებს ასე უფრო ეადვილებათ. ისინი Lark-ის აქტიური მომხმარებლები არიან. ამ სისტემას კორონავირუსის შემდეგაც აქტიურად გამოვიყენებთ. მეჯერა, რომ ტრადიციული სწავლებისა და ელექტრონული სწავლების შერწყმა ძალზე ეფექტური იქნება“.

ონლაინ სწავლების გამოწვევები

აუცილებელია ამ სფეროში არსებული გამოწვევების დაძლევა. სტუდენტებს ყველგან ერთნაირად არ მიუწვდებათ ხელი ინტერნეტსა თუ ტექნოლოგიებზე; ეს ხარვეზი შეინიშნება როგორც სხვადასხვა ქვეყანაში, ასევე ერთი და იმავე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონშიც. მაგალითად, შვეიცარიაში, ნორვეგიაში და ავსტრიაში მოსწავლეების 95%-ს საკუთარი კომპიუტერი აქვს სასკოლო დავალებების შესასრულებლად, ინდონეზიაში კი ამგვარი მოსწავლეების რიცხვი მხოლოდ 34%-ია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში თვალსაჩინო სხვაობაა პრივილეგირებულ და დაუცველ ფენებს შორის – შეძლებულ ოჯახებში ყველა 15 წლის ბავშვს აქვს საკუთარი კომპიუტერი, ლარბ ოჯახებში კი 25%-ს არა აქვს. ზოგიერთ ქვეყანაში სკოლები ან ხელისუფლება უზრუნველყოფს ხელმოკლე ოჯახების შვილებს ციფრული ხელსაწყოებით, ასე მოხდა ავსტრალიაში, ახალ სამხრეთ უელსში.

ეფექტურია თუ არა ონლაინ სწავლება

მათთვის, ვისაც ტექნოლოგიაზე ხელი მიუწვდება, აშკარაა, რომ ონლაინ სწავლება მრავალმხრივ უფრო ეფექტურია. კვლევების მიხედვით, სტუდენტები ონლაინ სწავლებით, დაახლოებით, 25-60%-ით მეტ მასალას ითვისებენ, ვიდრე საკლასო ოთახებსა და აუდიტორიებში. აქ ათვისების მაჩვენებელი 8-10%-ია. ელექტრონულად სწავლას 40-60%-ით ნაკლები დრო სჭირდება, ვიდრე ტრადიციულ სწავლას საკლასო ოთახში. სტუდენტები თავად აწვებენ სწავლის ტემპს: შეუძლიათ უკან დაბრუნება და გადაკითხვა, თვითონ წყვეტენ, რამდენი დრო სჭირდებათ ამა თუ იმ საკითხის ასათვისებლად.

თუმცა, ონლაინ სწავლების ეფექტურობა განსხვავდება ასა-

კობრივი ჯგუფების მიხედვით. ბავშვების უმეტესობას, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, დადგენილი გრაფიკი და გარკვეული გარემო სჭირდებათ, რადგან მათ ადვილად ეფანტებათ ყურადღება. ონლაინ სწავლების უპირატესობების სრულად გამოსაყენებლად, საჭიროა, ბავშვების უზრუნველყოფა ამ კომპონენტებით. კვლევებით დადგენილია, რომ პატარები გაცილებით უკეთ ითვისებენ მასალას, როცა სწავლა სახალისოა, რასაც ხელს უწყობს თამაშების ჩართვა სასწავლო პროცესში. ამ მხრივ, ტექნოლოგიები ფართო შესაძლებლობას იძლევა.

ბანკო-სისტემის სისტემის შეცვლის აუცილებლობა

ამკარაა, რომ პანდემიამ მთლიანად მოშალა განათლების სისტემა, თუმცა, ბევრს მიაჩნია, რომ იგი ისედაც შესაცვლელი იყო. იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორი, მკვლევარი იუვალ ნოე შარარი, თავის წიგნში „21 გაკვეთილი XXI საუკუნისთვის“, აღწერს, თუ როგორ ეფუძნებიან სასწავლებლები ტრადიციული, აკადემიური უნარების განვითარებას და ყურადღების მიღმა რჩებათ ისეთი უნარები, როგორც კრიტიკული აზროვნება და ადაპტირება, რაც უფრო მნიშვნელოვანი იქნება მომავალში წარმატების მისაღწევად. შეიძლება თუ არა, რომ ონლაინ სწავლებაზე გადასვლა კატალიზატორი გახდეს განათლების უფრო ახალი, ეფექტური მეთოდის შესაქმნელად? საგანმანათლებლო წრეებში ბევრი გეგმავს, რომ ელექტრონული სწავლება მეთოდის განუყოფელ ნაწილად აქციოს.

ასეა თუ ისე, პანდემიის პირობებში ცხადი გახდა, რომ ელექტრონული სწავლების უსაზღვრო შესაძლებლობები დღემდე ნაკლებად იყო გამოყენებული და რომ ამგვარი სწავლების ფართოდ დანერგვას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

მომზადდა ნინო ქაჭანიამ მასალა მომზადებულია „World Economic Forum“-ში გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით



2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები და სტუდენტთა საგრანტო კონკურსი მაქსიმალური ქულები და საგამოსდომო დროის ხანგრძლივობა

საგანი/გამოსდა	მაქსიმალური ქულა	გამოსდომის ხანგრძლივობა
ქართული ენა და ლიტერატურა	70	3 საათი და 45 წუთი
ზოგადი უნარები	80	ვერბალური ნაწილი 1 საათი და 35 წუთი მათემატიკური ნაწილი 1 საათი და 35 წუთი
უცხოური ენები	80	2 საათი და 30 წუთი
ლიტერატურა	70	4 საათი
მათემატიკა	51	3 საათი
ისტორია	60	2 საათი და 40 წუთი
გეოგრაფია	60	2 საათი და 40 წუთი
ბიოლოგია	70	2 საათი და 30 წუთი
ქიმია	63	3 საათი
ფიზიკა	63	3 საათი
სტუდენტთა საგრანტო კონკურსი	42	2 საათი და 35 წუთი
სახვითი და გამომყვებითი ხელოვნება	70	3 საათი
სამოქალაქო განათლება	60	3 საათი და 10 წუთი
აფხაზური ენა	70	3 საათი და 45 წუთი
ოსური ენა	70	3 საათი და 45 წუთი

აზიტირებულ დადგენილი მიზნობრივ კომპეტენციის ზღვარი გადალახულად ჩაითვლება, თუ ის უცხოური ენისა და მათემატიკის გამოცდებში დააბრკოვებს ამ საგნებისათვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 20%-ზე მეტს, ზოგადი უნარების გამოცდაში – 30%-ზე მეტს, ხოლო ყველა სხვა საგანში – მაქსიმალური ქულის 25%-ზე მეტს.



სამოქალაქო განათლება

სამოქალაქო განათლების მასალები

5 ლარი

12 ლარი

10 ლარი

9 ლარი

გამომცემლობა „ახალი განათლება“
მთავარბანკი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რაკვიზიტებზე:
 მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
 ა/ა GE93LB0113314052305000,
 ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
 შექმნის მსურველები დაგვიკავშირდით:
 555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

სიხლუ
1 მარტიდან

მასწავლებლის გამოსვლისთვის
ფასი – 17 ლარი

ტექსტის გააზრება
15 ლარი

ნიმუში თავმოყრილი I-IV კლასების მასწავლებელთა კომპიუტერული საგამოსდომო მასალა, კითხვა-პასუხის და ტესტების სხვით
ფასი – 27 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწვრილებით
6.50 ლარი

ქართული (I-VII) მასწავლებელთა გამოსვლისთვის
11 ლარი

პროფესიული უნარები თეორიული მასალა
15 ლარი

პროფესიული უნარები ტესტები
15 ლარი

წიგნის თარი

ტესტები ქართულ ლიტერატურაში ეროვნული

წიგნი I
V-XVIII სს მხარელება

წიგნი II
XIX საუკუნის მხარელება

წიგნი III
XX საუკუნის მხარელება

თითო ტომის ფასი – 13 ლარი